KA030169851776318

№ 01-4703/ს **08 / ნოემბერი / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ 2018 წლის 13-14 ნოემბერს კატარის სახელმწიფოში, ქ. დოჰაში ტარდება ჯანდაცვის ინოვაციების მსოფლიო სამიტი, რომელზეც მიწვეულები არიან 100-ზე მეტი ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს დელეგაციები, დარგის ექსპერტები და სამედიცინო ინდუსტრიის წარმომადგენლები.

აღნიშნულ სამიტში მონაწილეობის მიზნით წარდგენილნი არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მარინა დარახველიძე და ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და აპარატის საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მაია ნიკოლეიშვილი.

სამიტის ფარგლებში დაგეგმილია ქალბატონი მარინა დარახველიძის სიტყვით გამოსვლა დედათა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე განიხილება საზოგადოებრივი ჯანდაცვის აქტუალური თემები, მათ შორის ვირუსულ ჰეპატიტებთან დაკავშირებული საკითხები და სხვ.

მომწვევი მხარე ანაზღაურებს მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯებს

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ ქალბატონი მარინა დარახველიძისა და მაია ნიკოლეიშვილისათვის შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას 2018 წლის 12 ნოემბერიდან 15 ნოემბრის ჩათვლით და დღიური ნორმის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

პატივისცემით,

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სოფიკო ბელქანია